# გია გოზალიშვილი

ლაგოდეხში დაიბადა და გაიზარდა. მთელი ცხოვრება ლაგოდეხელების სამსახურში გაატარა. ჯერ ქარხნის მუშა იყო, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მშობლიური რაიონის ჯანდაცვის სისტემაში 30 წელი იმუშავა სხვადასხვა თანამდებობებზე. 2008 წლიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გახდა. 2010 წლიდან ლაგოდეხის საკრებულოს თავმჯდომარეა. მშობლიურ რაიონში სამსახურისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მთელი ცხოვრება ლაგოდეხს მიუძღვნა და კარგად იცნობს რაიონის პრობლემებს. იცის, რომ ჯერაც ბევრი ლაგოდეხელი ცხოვრობს გაჭირვებაში, ჯერაც ბევრია რაიონში უმუშევარი და ბევრს არ მიუწვდება ხელი ჯანდაცვაზე. ახლა უკვე საქართველოს პარლამენტიდან აპირებს მშობლიური რაიონის დასახმარებლად გარჯას. მისი მოღვაწეობის მთავარი მიზანი იქნება სოფლის მეურნეობის გაძლიერება და ლაგოდეხელებისთვის მეტი სარგებლის მოტანა.

**გზა ყველა სოფელში, წყალი ყველა სოფელს, გაზიფიცირების დასრულება**



**დასაქმება**
**ჯანდაცვა ყველას**
**ძლიერი სოფელი**
**1000 ლარიანი ვაუჩერი**

**5**

www.UNM.ge

ლაგოდეხი

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

# მეტი სარგებელი ხალხს

PX 4736/1 n 228/1543

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ❤ საქართველო



*მიხეილ სააკაშვილი:*

- „შეუძლებელია, რომ სახელმწიფო არ ზრუნავდეს მოქალაქეების ჯანდაცვაზე. ამისთვის მარტო ახალი საავადმყოფოები არ კმარა. საავადმყოფო მუზეუმი არაა, რომ უბრალოდ დაათვალიერო. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის ყველა მოქალაქის დაზღვევაა საჭირო. მხოლოდ ასე ნახავს ჩვენი ხალხი მეტ სარგებელს".



*ვანო მერაბიშვილი:*

- „მე ვიცნობ ქართულ სოფელს, მე მიყვარს ქართული სოფელი, მე მივხედავ ქართულ სოფელს".
- მე მესმის უმუშევარი ადამიანის გასაჭირის, როცა კაცმა არ იცი, ოჯახს ხვალ რა აჭამო. ასეთ დროს ძნელია რაიმე დაიჯერო, მაგრამ მე მაინც გავბედავ და ვეტყვი ჩემს მოქალაქეებს: როგორც კორუფცია და კრიმინალი დავამარცხეთ, ასევე შევძლებთ უმუშევრობის დაძლევას – ამაში ეჭვი არ მეპარება".



*დავით ბაქრაძე:*

- „მაღალი ფასები განსაკუთრებით აწუხებს დღეს ჩვენს მოსახლეობას. ხელოვნურად ფასების აწევა დანაშაულია! ძალით დაწევა კი ბიზნესის გაკოტრებასა და ხალხის უსამსახუროდ დარჩენას იწვევს. ამიტომ 1000-ლარიანი ვაუჩერი რეალური სარგებელია ხალხისთვის. ყველა ოჯახი თავად გადაწყვეტს, სად უჭირს და სად სჭირდება სახელმწიფოს დახმარება".

# მეტი სარგებელი ხალხს

დამკვეთი: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". მის: კახეთის გზატკეცილი 45ა. შემსრულებელი: შ.პ.ს. „[illegible]"; მის: ქავთარაძის ქუჩა 17 ა; ზომა: A 5; ტირაჟი: 4500 ც. თარიღი: 25.08.2012 წ.